ᲡᲡᲘᲞ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ
ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ
ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ №01-05-04/96

Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 16 მაისი 2019

**სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სახელწოდების ცვლილების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ო. გელაშვილის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 16 მაისის №01-05-02/09 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე არსებულ „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს“ შეეცვალოს სახელწოდება და ეწოდოს „სატრანსპორტო სისტემებისა და ტექნოლოგიების კოლეჯი“;
2. ცენტრის სახელწოდების შეცვლის საკითხი დასამტკიცებლად გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი);
3. საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარადგენს პროფ. ო. გელაშილი;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **ა. ფრანგიშვილი**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **გ. სალუქვაძე**